



პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია

2019-2020 სასწავლო წელი

საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა  
(კატალოგი)

თბილისი  
2019-2020 წელი

## Contents

საკონტაქტო ინფორმაცია.....	3
აკადემიური კალენდარი.....	5
ზოგადი ინფორმაცია .....	5
მისია.....	6
მიზანი.....	6
საგანმანათლებლო პროგრამები .....	6
ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა - სამკურნალო საქმე.....	7
პროგრამა დაყოფილია სამ ნაწილად .....	7
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა.....	7
პროგრამის მიზანი.....	8
პროგრამის ამოცანები.....	8
სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები.....	9
სასწავლო გეგმა .....	11
პირველი წელი .....	11
მეორე წელი.....	12
მესამე წელი.....	12
მეოთხე წელი.....	13
მეხუთე წელი.....	14
მეექვსე წელი .....	15
სტუდენტის შეფასების სისტემა .....	16
პროგრამის სწავლის შედეგები .....	17
I. ცოდნა და გაცნობიერება .....	17
II ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი .....	18
III დასკვნის უნარი .....	24
IV კომუნიკაციის უნარი .....	24
V სწავლის უნარი .....	25
VI ღირებულებები .....	25
მატერიალური და ადამიანური რესურსი.....	26
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა .....	26
დასაქმების სფერო.....	26
ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა – მედიცინა.....	27

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა.....	27
პროგრამის მიზანი.....	28
პროგრამის ამოცანები.....	28
სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები.....	29
სასწავლო გეგმა.....	31
პირველი წელი.....	31
მეორე წელი.....	32
მესამე წელი.....	33
მეოთხე წელი.....	33
მეხუთე წელი.....	34
მეექვსე წელი.....	35
სტუდენტის შეფასების სისტემა.....	36
პროგრამის სწავლის შედეგები.....	37
I ცოდნა და გაცნობიერება.....	37
II ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.....	39
III დასკვნის უნარი.....	44
IV კომუნიკაციის უნარი.....	44
V სწავლის უნარი.....	45
VI ღირებულებები.....	45
მატერიალური და ადამიანური რესურსი.....	46
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.....	46
რეკომენდაციები მომავალ სტუდენტებს.....	47
ვიზა:.....	47
სამედიცინო დაზღვევა.....	47

აკადემიური კალენდარი

შემოდგომის სემესტრი:	
სააუდიტორიო მეცადინეობები	23 სექტემბერი 2019 - 18 იანვარი 2020
სასესიო პერიოდი	
შუალედური გამოცდების კვირა	11-16 ნოემბერი 2019
დასკვნითი გამოცდების პერიოდი	20 იანვარი - 15 თებერვალი 2020

გაზაფხულის სემესტრი:	
სააუდიტორიო მეცადინეობები	02 მარტი 2020 - 20 ივნისი 2020
სასესიო პერიოდი	
შუალედური გამოცდების კვირა	21 აპრილი - 27 აპრილი 2020
დასკვნითი გამოცდების პერიოდი	22 ივნისი - 18 ივლისი 2020

## მისია

“თსა, როგორც სტუდენტზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ინოვაციური მიდგომით და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის გამოყენებით უზრუნველყოფს ეროვნული და საერთაშორისო ჯანდაცვის მიმართულებით პროფესიონალების მომზადებას. ამავდროულად, კვლევაზე დაფუძნებული აქტივობების განხორციელებით წვლილი შეაქვს საქართველოს საზოგადოების განვითარებაში.”

## მიზანი

თსა-ს მიზნები ეფუძნება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს და მოიცავს შემდეგს:

- მაღალკვალიფიციური და ლიდერული თვისებების მქონე სამედიცინო დარგის პროფესიონალების აღზრდა;
- სამედიცინო კვლევების მეშვეობით ახალი ცოდნის შექმნა საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით;
- ცოდნის გაზიარება საზოგადოების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისთვის.

## საგანმანათლებლო პროგრამები

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია ახორციელებს ორ საგანმანათლებლო პროგრამას: "სამკურნალო საქმე" და "ინგლისურენოვანი მედიცინა". პროგრამა ერთსაფეხურიანია და შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს.

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა - სამკურნალო საქმე

პროგრამის სახელწოდება	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა – სამკურნალო საქმე
საფეხური	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, გათანაბრებული უმაღლესი განათლების მეორე საფეხურთან
პროგრამის მოცულობა	ხანგრძლივობაა 6 წელი, 12 სემესტრი
ასათვისებელი კრედიტის მოცულობა (ECTS)	
1 კრედიტი	30 ასტრონომიულ საათი
სემესტრი	30 კრედიტი
წელი	60 კრედიტი
სულ	360 კრედიტი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი - Medical Doctor
სწავლების ენა	ქართული

პროგრამა დაყოფილია სამ ნაწილად

I ნაწილი	საბაზისო, ქცევითი და სოციალური დისციპლინები	2,5 – 3 წელი
II ნაწილი	კლინიკური დისციპლინები	3 – 5 წელი
III ნაწილი	ზოგადი სპეციალიზაცია	მე-6 წელი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

აკადემიური წინაპირობები:

ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე – “სამკურნალო საქმე”, შეიძლება ჩაირიცხოს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ქიმიის ან ბიოლოგიის გამოცდას, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქე ან უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

არაკადემიური(ტექნიკური) წინაპირობები:<sup>1</sup> შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების პირები დაიშვებიან პროგრამაზე, თუ მათი პრაქტიკული შესაძლებლობები პროფესიონალურ სფეროში შეზღუდული არ იქნება. პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს უნდა შეეძლოს დემონსტრირებისა და

<sup>1</sup> Recommendations of the AAMC Special Advisory Panel on Technical Standards for Medical School Admissions, approved by the AAMC Executive Council on January 18, 1979

ექსპერიმენტების ობზერვაცია საბაზისო საგნების სწავლების პროცესში, ქსოვილებისა და მიკროორგანიზმების შესწავლა მიკროსკოპში. კანდიდატს უნდა შეეძლოს პაციენტის დეტალური ობზერვაცია როგორც დისტანციურად, ასევე ახლო მანძილიდან. ობზერვაცია მოითხოვს მხედველობის, სმენის, და სომატური მგრძობელობის ფუნქციონალურ გამოყენებას. კანდიდატს უნდა შეეძლოს ეფექტური ზეპირსიტყვიერი, არავერბალური და წერილობითი კომუნიკაცია პაციენტთან და გუნდის წევრებთან, ამისათვის მას სჭირდება მეტყველების, მხედველობისა და სმენის უნარი.

### პროგრამის მიზანი

დიპლომირებული მედიკოსების მომზადება, მათთვის ღრმა კლინიკური აზროვნების განვითარება, სამედიცინო პრაქტიკული საქმიანობისთვის აუცილებელი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მტკიცებულებებზე დაფუძნებული სამედიცინო განათლების მიცემა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის შესახებ ღრმა ცოდნის მიცემა და ამ სისტემაში ექიმის როლის გაცნობიერება, კლინიკური და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გამომუშავება, სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენების, შედეგების პრეზენტაციისა და დისკუსიაში მონაწილეობის უნარ-ჩვევების გამომუშავება, ექიმის პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ეთიკური ღირებულებების და დამოკიდებულებების გამომუშავება.

### პროგრამის ამოცანები

- ადამიანის ორგანიზმის ნორმალური მორფოლოგიის და ორგანოებისა და სისტემების ფუნქციონირების შესახებ ცოდნის მიცემა;
- ადამიანის ორგანიზმში სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობის დროს განვითარებული დარღვევების შესახებ ცოდნის მიცემა;
- მწვავე და ქრონიკული დაავადებების ეტიოლოგიის, პათოგენეზის, კლინიკური მიმდინარეობის, დიაგნოსტიკისა და დიფერენციალური დიაგნოსტიკის შესახებ ცოდნის მიცემა;
- წარმოდგენილ კლინიკურ სიმპტომებსა და ნიშნებში სწორი ორიენტაციისა და ლოგიკური დასკვნის გაკეთების უნარის გამომუშავება;
- სტუდენტისთვის ავადმყოფის გამოკვლევის ოპტიმალური გეგმის შედგენისა და საჭიროების შემთხვევაში ადექვატური მკურნალობის დაწყებისთვის საჭირო ცოდნის მიცემა;
- სამედიცინო საქმიანობისთვის აუცილებელი კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- ეპიდემიოლოგიის, ჯანმრთელობის მართვის საფუძვლების და ჯან. დაცვის კანონმდებლობის შესახებ ცოდნის მიცემა;
- პაციენტის ეფექტური მართვის უნარის გამომუშავება;
- დაავადებათა პრევენციის სწორი მენეჯმენტის უნარის გამომუშავება;
- პაციენტთან, კოლეგებთან, საზოგადოებასთან სწორი ურთიერთობის მიზნით საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- დამოუკიდებლად სწავლისა და სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების გამომუშავება;
- სამედიცინო ჩანაწერების ხარისხიანად წარმოების უნარ-ჩვევის გამომუშავება;

- პროფესიული საქმიანობის პროცესში პაციენტების პრობლემების იდენტიფიცირების, ფორმულირებისა და საკითხის გადაწყვეტის უნარის გამომუშავება კრიტიკული მიდგომითა და კვლევაზე ორიენტირებული დამოკიდებულების დემონსტრირებით;

## სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი -სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება სტუდენტთან ურთიერთობის ისეთი ფორმები, როგორცაა ინტერაქტიული ლექცია Power Point ფორმატში, ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, კითხვა-პასუხი, ინდივიდუალური მუშაობა სტუდენტთან მისთვის საინტერესო საკითხის გარშემო - სტუდენტს ინდივიდუალურად გაეწევა კონსულტაცია, რაც გულისხმობს მისთვის საინტერესო და გაუგებარი საკითხების გარშემო განმარტებების მიცემას, შუალედური გამოკითხვის შედეგების განხილვას, კვლევასთან დაკავშირებული პრობლემის გარშემო ლიტერატურის შერჩევას, მის გაანალიზებაში დახმარებას და სტუდენტური კონფერენციისთვის თუ დებატებისათვის მზადებას.

წიგნზე მუშაობის მეთოდი - დამოუკიდებლად მიცემული და ახსნილი საკითხავი მასალის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი; წერიტი მუშაობის მეთოდი - მთელ რიგ დისციპლინებში სტუდენტები დავალების სახით ასრულებენ სხვადასხვა პროექტებს - წარმოადგენენ Power-Point პრეზენტაციებს მათთვის საინტერესო თემების შესახებ, ადგენენ თეზისებს, წერენ რეფერატებს ან ესეს, წერილობით პასუხს სცემენ ღია კითხვებს. პრაქტიკული მეთოდები(კლინიკურ გარემოში სწავლება - bedside teaching)-. კლინიკური უნარების დემონსტრაცია - სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. სტუდენტი შექმნილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამათუიმ პრაქტიკულ აქტივობას. ამ მეთოდის საშუალებით სტუდენტი იძენს ახალ ცოდნას და პროფესიონალურ მიდგომასა და თვისებებს: კოლეგიალობა, გუნდში მუშაობა, თანადგომა. პრაქტიკული უნარ-ჩვევების დემონსტრაცია - ავადმყოფის გასინჯვა, მონაცემების რეგისტრაცია, გამოკვლევის მეთოდების დანიშვნა, გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაცია, დიაგნოზის განსაზღვრა, შესაბამისი სამკურნალო გეგმის შემუშავება; პრაქტიკული უნარ-ჩვევების დემონსტრირება(პერკუსია,პალპაცია, აუსკულ-ტაცია, ფორმულირება და მონაცემების რეგისტრაცია დ ასხვ) ინსტრუმენტული გამოკვლევის შედეგების ანალიზი(დასკვნის ინტერპრეტაცია და დაზიანების ტიპისა და ხარისხის განსაზღვრა, ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების ანალიზი(ანალიზების საფუძველზე დაზიანების ტიპისა და ხარისხის განსაზღვრა.

დემონსტრირების მეთოდი - ეს მეთოდი ინფორმაციისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. ამ მეთოდის გამოყენება ხდება კლინიკური უნარ-ჩვევის სწავლებისას კლინიკური უნარ-ჩვევებისა და სტრუქტურული გამოცდების ცენტრში პრაქტიკული პროცედურების სწავლებისას, აგრეთვე, პაციენტის ფიზიკალური გასინჯვის სწავლებისას სტანდარტულ პაციენტზე; დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიერ.

როლური თამაში - ეს მეთოდი გულისხმობს სტუდენტების მიერ პაციენტისა და ექიმის როლის შესრულებას და პრაქტიკული/კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და დემონსტრაციას. ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება სწავლების ბაზისურ ეტაპზე კლინიკური და პრაქტიკული უნარჩვევების ათვისებისას, აგრეთვე, OSCE ფორმატში ჩატარებული გამოცდების მსვლელობისას SP პაციენტზე.



ანალიზი და სინთეზი - კლინიკური შემთხვევის განხილვა - ფიზიკური, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგების ანალიზი და სინთეზი, დიფერენციალური დიაგნოზი, დიაგნოზის განსაზღვრა, შესაბამისი მკურნალობის გეგმის შემუშავება.

დისკუსია/დებატები - კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ამასთან, უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს, ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება ჯგუფში მუშაობისას ინტერაქტიულ სემინარებზე. ამას გარდა, თსა-ში პერიოდულად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო დებატები კონკრეტულ თემაზე, სადაც სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან მოწვეული სტუდენტები თსა სტუდენტებთან ერთად არგუმენტირებულად იცავენ თავის თვალსაზრისს საკითხის მეცნიერული ცოდნისა და ეთიკურ-მორალური პრინციპებიდან გამომდინარე.

შემთხვევის ანალიზი (Case study) - სწავლების ადრეულ ეტაპზე გამოიყენება პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების (POL) მეთოდი, კერძოდ, კლინიკური შემთხვევის განხილვა, სინდრომის ანალიზი და დიფერენციალური დიაგნოზის ელემენტები. ლექტორი სტუდენტებს წარუდგენს კონკრეტულ შემთხვევებს, სტუდენტები ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს და შემდეგ ხდება აღნიშნული შემთხვევის სრული ანალიზი, რომელსაც წარმართავენ სტუდენტები ლექტორის ზედამხედველობით. პრიმიტიულ დონეზე კლინიკური შემთხვევის, კლინიკური კორელაციებისა და სიტუაციური ამოცანების განხილვა ხდება ყველა ბაზისური დისციპლინის შესწავლის პროცესში.

სიტუაციური ამოცანების განხილვა სწავლების კლინიკურ ეტაპზე ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების დემონსტრაციას: დიაგნოზის განსაზღვრასა და მკურნალობის მეთოდის შერჩევას. კლინიკურ დისციპლინებში მეცადინეობების დროს კლინიკური შემთხვევების გარჩევა მოხდება სიტუაციური ამოცანების განხილვის გზით, როლური თამაშების (პაციენტი-ექიმი) საშუალებით, ასევე, კლინიკურ გარემოში, უშუალოდ პაციენტის საწოლთან.

ლაბორატორიული სწავლება - ლაბორატორიული სამუშაოს შესრულება ჩართულია საბაზისო ბიოსამედიცინო დისციპლინების შესწავლის პროცესში, როგორც სავალდებულო კომპონენტი, აგრეთვე, სამეცნიერო კვლევებში მონაწილე სტუდენტები უფრო ღრმად შეისწავლიან კონკრეტულ ლაბორატორიულ სამუშაოს.

სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა - თსა-ში სტუდენტები ადრეული სემესტრიდან არიან ჩართული სამეცნიერო და კლინიკურ კვლევაში. სწავლების ადრეულ ეტაპიდან ისწავლება სამეცნიერო კვლევის ძირითადი საფუძვლები, ინფორმაციის კრიტიკული შეფასება, მტკიცებულებზე დაფუძნებული ინფორმაციის მოპოვება, კვლევის დიზაინი, ორგანიზება, ანალიზი და შედეგების წარდგენა. რეფერატული თუ კვლევაზე დაფუძნებული ნაშრომების პრეზენტაციას სტუდენტები მოაწყობენ როგორც უშუალოდ სწავლების პროცესში, ასევე ყოველწლიურ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებზე. ასეთი ტიპის აქტივობა ქმნის მოტივაციას და საფუძველს სამეცნიერო კვლევაში სტუდენტის შემდგომი ჩართულობისათვის.

დამამთავრებელი წლის პირველის სემესტრის დასაწყისში სტუდენტები აირჩევენ თსა-ს მიერ შეთავაზებული კვლევებიდან ერთ-ერთს, რომელსაც განახორციელებენ ხელმძღვანელის რეკომენდაციების საფუძველზე და მისი უშუალო ხელმძღვანელობით. სემესტრის ბოლოს მოახდენენ შესრულებული ნაშრომის პრეზენტაციას, მონაწილეობას მიიღებენ დისკუსიაში. ეს მათ უვითარებს არამარტო აუდოტორიასთან პროფესიონალურ კომუნიკაციის, არამედ საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

ანალიზი - ამ მეთოდის გამოყენებით სტუდენტებთან ერთად განიხილება კონკრეტული შემთხვევები. სტუდენტები საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხის მანამდე უცნობ მხარეებს. ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ

ნაწილებად დაშლაში, რაც ამარტივებს დასმული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალურ გაშუქებას.

სინთეზის მეთოდი - გულისხმობს ცალკეული საკითხების თავმოყრით მთლიანის შესახებ წარმოდგენის შექმნას. იგი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც „მთელი“-ს დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

აუდიო-ვიზუალური მეთოდი - მეცადინეობებზე გამოყენებული იქნება პოსტერები, ატლასები, კომპიუტერული პროგრამები, სხვადასხვა ფიზიოლოგიური და პათოლოგიური მექანიზმების ანიმაციები, ქირურგიული ოპერაციებისა და სამედიცინო მანიპულაციების ვიდეო ვერსიები, აგრეთვე, ვირტუალური ლაბორატორია,(რომელიც გამოიყენება ანატომიისა და იმუნოლოგიის კურსების სწავლებაში), ლექცია/პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები, სლაიდები, პრეზენტაციები, ხდება დაფის გამოყენება ლექტორისა და სტუდენტების მიერ.

ექიმის ასისტირება - ექიმის დახმარება ავადმყოფის მკურნალობის პროცესში, მანიპულაციების ჩატარების დროს.

## სასწავლო გეგმა

### პირველი წელი

I სემესტრი		
N	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	ადამიანის ანატომია I	6
2	ციტოლოგია, ემბრიოლოგია, ზოგადი ჰისტოლოგია	6
3	გენეტიკა	5
4	სამედიცინო ქიმია	4
5	უცხო ენა I:	6
6	შესავალი კლინიკურ მედიცინაში I	3
		30
II სემესტრი		
N	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	ადამიანის ანატომია II	6
2	კერძო ჰისტოლოგია	6
3	ბიოქიმია I	4
4	შესავალი კლინიკურ მედიცინაში II	3
5	შესავალი სამედიცინო კვლევაში	3
6	ბიოეთიკა	3

7	უცხო ენა II:	5
		30

### მეორე წელი

III სემესტრი		
N	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	ადამიანის ანატომია III	6
2	ფიზიოლოგია I	6
3	ბიოქიმია II	5
4	მიკრობიოლოგია I	5
5	შესავალი კლინიკურ მედიცინაში III	2
6	უცხო ენა III:	3
7	იმუნოლოგია	3
		30
IV სემესტრი		
N	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	ზოგადი პათოლოგია	7
2	ფიზიოლოგია II	6
3	ბიოქიმია III	4
4	მიკრობიოლოგია II	6
5	უცხო ენა IV:	3
6	ჯანმრთელობის სოციალური და ეკოლოგიური ასპექტები	2
7	კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	2
		30

### მესამე წელი

V სემესტრი		
N	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	შინ/სნეულეზათა დიაგნოსტიკა I პრობლემაზე ორიენტირებული სწავლებით	6
2	სამედიცინო ფსიქოლოგია	4
3	კერძო პათოლოგია I	7
4	კლინიკური უნარ-ჩვევები I	3

5	ფარმაკოლოგია I	7
6	ნუტრიციოლოგიის საფუძვლები	3
		30
<b>VI სემესტრი</b>		
#	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	შინ/სნეულეზათა დიაგნოსტიკა II პრობლემაზე ორიენტირებული სწავლებით	6
2	ზოგადი ქირურგია	5
3	კერძო პათოლოგია II	7
4	რადიოლოგია	3
5	ფარმაკოლოგია II	6
6	ქცევის ფსიქოფიზიოლოგია	3
		30

### მეოთხე წელი

<b>VII სემესტრი</b>		
N	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	შინაგან სნეულებები I	8
2	მეანობა	5
3	ნევროლოგია	7
4	ოტორინოლარინგოლოგია	3
5	ტუბერკულოზი	2
6	კლინიკური უნარ-ჩვევები II	3
7	არჩევითი: 1. ცნობიერის ფსიქოლოგია 2. ფიზიოთერაპია	2
		30
<b>VIII სემესტრი</b>		
N	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	ქირურგია I	7
2	ოფთალმოლოგია	3
3	ტრავმატოლოგია	4
4	ინფექციური სნეულებანი	6
5	კლინიკური პარაზიტოლოგია	3

	არჩევითი: 1. სპორტის მედიცინა 6 2. ენდოკრინოლოგია	2
7	ონკოლოგია და პალიატიური მოვლა	3
8	უროლოგია	2
		30

### მეხუთე წელი

IX სემესტრი		
N	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	შინაგან სნეულებები II	8
2	დერმატოვენეროლოგია	4
3	ფსიქიატრია	4
4	პედიატრია I	6
5	კლინიკური ჰემატოლოგია	3
6	ეპიდემიოლოგიური კვლევა და ბიოსტატისტიკა	3
7	არჩევითი: 1. კლინიკური იმუნოლოგია 2. ნეიროქირურგია	2
		30
X სემესტრი		
N	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	ქირურგია II	8
2	გინეკოლოგია	6
3	სამედიცინო რეაბილიტაცია	3
4	პრევენციული მედიცინა	3
5	ბავშვთა ქირურგია	3
6	კლინიკური ფარმაკოლოგია	3
7	გერიატრია	2

8	არჩევითი: 1. პროფესიული პათოლოგია 2. ეკგ დიაგნოსტიკა	2
		30

### მექვესე წელი

XI სემესტრი		
#	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	შინაგანი სნეულებების დიფერენციალური დიაგნოსტიკა I	7
2	კრიტიკული მედიცინა და ანესთეზიოლოგია	4
3	სასამართლო მედიცინა	4
4	საოჯახო მედიცინა	4
5	საზოგადოებრივი ჯან.დაცვა და ჯან.დაცვის მართვა	4
6	კლინიკური ეთიკა და ექიმის მოღვაწეობის სამართლებრივი საფუძვლები	2
7	სამეცნიერო კვლევითი აქტივობა	3
8	არჩევითი: 1. ბავშვთა ორთოპედიული ქირურგია 2. რეპროდუქტოლოგია	2
		30
XII სემესტრი		
#	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	კლინიკური ტოქსიკოლოგია და გადაუდებელი თერაპია	4
2	შინაგანი სნეულებების დიფერენციალური დიაგნოსტიკა II	7
3	პედიატრია II	4
4	ქირურგია III	6
5	მეანობა-გინეკოლოგია	4
6	კლინიკური კვლევის მეთოდოლოგია	3
7	არჩევითი: 1. სისხლძარღვთა ქირურგია 2. კლინიკური ნუტრიციოლოგია	2
		30

## სტუდენტის შეფასების სისტემა

სტუდენტს ECTS კრედიტი ენიჭება სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

ცოდნის შეფასება ხორციელდება 100 ქულიან ი სისტემით.

- 60 ქულას სტუდენტი აგროვებს სემესტრის განმავლობაში, სასწავლო კურსის შესწავლის პროცესში, დასწრების, აქტივობის, კოლოქვიუმის, ზეპირი ან წერიითი გამოკითხვის, რეფერატის მომზადების, პრეზენტაციის, კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავების ან სხვა კომპონენტების საფუძველზე.  
კომპონენტების რაოდენობა და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება სასწავლო კურსის ხელმძღვანელის მიერ და აისახება სილაბუსში.
- 40 ქულა გათვალისწინებულია დასკვნითი გამოცდისთვის.
  - სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 31 ქულა.
  - დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი მიიღებს მინიმუმ 20 ქულას.

სტუდენტს კრედიტი მიენიჭება ქულების 51-დან 100-მდე დაგროვების შემთხვევაში.

ქულების 41-დან 50-მდე დაგროვების შემთხვევაში სტუდენტი განმეორებით გადის გამოცდაზე სასწავლო კურსის განმეორებით გავლის გარეშე.

40 და ნაკლები ქულის დაგროვების შემთხვევაში სტუდენტმა სასწავლო კურსი განმეორებით უნდა გაიაროს.

შეფასების სისტემაში ქულების განაწილების სქემა

ქულა	შეფასება
91-100 (A)	ფრიადი
81-90 (B)	ძალიან კარგი
71-80 (C)	კარგი
61-70 (D)	დამაკმაყოფილებელი
51-60 (E)	საკმარისი

41-50 (FX)	ვერ ჩააბარა; სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება
0-40 (F)	ჩაიჭრა; სტუდენტმა კრედიტის მისაღებად განმეორებით უნდა გაიაროს სასწავლო კურსი

## პროგრამის სწავლის შედეგები

### I. ცოდნა და გაცნობიერება

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს:

1. ბიოსამედიცინო და საბაზისო დისციპლინების (ბიოქიმია, მოლეკულური ბიოლოგია, ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია, ანატომია, გენეტიკა, იმუნოლოგია, მიკრობიოლოგია, ნუტრიციოლოგიის საფუძვლები, ფიზიოლოგია, პათოლოგია და ფარმაკოლოგია) და მათთან დაკავშირებული სამეცნიერო პრინციპებისა და მეთოდების ღრმა და სისტემური ცოდნა.

კურსდამთავრებულმა იცის:

- ადამიანის ორგანიზმის ნორმალური განვითარება, ნორმალური მოლეკულური, მიკრო და მაკროსტრუქტურა და ფუნქცია, მეტაბოლიზმი და კვებითი მოთხოვნილება და გარემო ფაქტორების ზეგავლენა ჯანმრთელობაზე.
- ადამიანის გენომისა და იმუნური სისტემის ნორმალური სტრუქტურა და ფუნქცია
- დაავადების მექანიზმი(პათოფიზიოლოგია) და პათოლოგიური სტრუქტურა(პათომორფოლოგია), მათ შორის -ინფექციის, გენეტიკური და იმუნური სისტემის დაავადებების მექანიზმები.
- წამლების კლასიფიკაცია, ძირითადი ჯგუფების ფარმაკოდინამიკა და ფარმაკოკინეტიკა, ცალკეული სამკურნალწამლო საშუალებანი, მათი დანიშვნის პრინციპები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, თერაპიული და გვერდითი ეფექტები, ტოქსიურობა, წამალთშორისი ურთიერთქმედებები, ხანგრძლივი დანიშნულებების ეფექტები, მოსახლეობაში ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის გავრცელების პრობლემა; სისხლისა და სისხლის პროდუქტების ტრანსფუზიის პრინციპები.

2. ქცევითი და სოციალური მეცნიერებების (სამედიცინო ფსიქოლოგია, ქცევის ფსიქოფიზიოლოგია, შესავალი სამედიცინო კვლევაში, ჯანმრთელობის ეკოლოგიური და სოციალური ასპექტები, ეპიდემიოლოგიური კვლევა და ბიოსტატისტიკა,პრევენციული მედიცინა), მათთან დაკავშირებული სამეცნიერო პრინციპებისა და მეთოდების სისტემური ცოდნა.

3. კლინიკური მეცნიერებების შესახებ კლინიკური როტაციების პერიოდში მიღებული გამოცდილებით გამყარებული თეორიული ცოდნა შემდეგ სფეროებში:

- მწვავე დაავადების მკურნალობა გადაუდებელი მედიცინის განყოფილებაში



- თერაპიული პაციენტის მკურნალობა მიმდებ განყოფილებაში და ზოგად თერაპიულ განყოფილებაში
  - ქირურგიული პაციენტის მკურნალობა მიმდებ განყოფილებაში და ზოგად ქირურგიულ განყოფილებაში
  - მკურნალობა პირველადი ჯანდაცვის რგოლში
  - ხანდაზმულთა მკურნალობა
  - ბავშვების მკურნალობა
  - პალიატიური მკურნალობა
  - ფსიქიატრიული პაციენტის მკურნალობა
  - გინეკოლოგიური პაციენტის მკურნალობა და ფიზიოლოგიური მშობიარობის მართვა
  - კრიტიკული მდგომარეობის მკურნალობა და ანესთეზიოლოგია
  - რეაბილიტაციური მედიცინა
  - სხვადასხვა პროფილის დაავადებების მკურნალობა
  - სხვადასხვა პროფილის ქირურგიული დაავადებების მკურნალობა ცოდნა
4. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემისა და ექიმის როლის შესახებ ჯანდაცვის სისტემაში:
- კურსდამთავრებული ღრმად ერკვევა დაავადებათა პრევენციის პრინციპებსა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის სოციალურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებში.
  - აქვს წარმოდგენა გლობალურად და ქვეყნის შიგნით რესურსების არათანასწორ გადანაწილებაზე.
  - იცის სამედიცინო სფეროსთან დაკავშირებული კანონები და რეგულაციები.
5. სამედიცინო პრაქტიკაში არსებული ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა: პაციენტებისა და უნარშეზღუდულ პირთა უფლებები, ექიმის მოვალეობები და უფლებები, კოლეგებთან ურთიერთობის ლეგალური ასპექტები

## II ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

6. პაციენტისათვის კონსულტაციის გაწევა

- ავადმყოფობის ისტორიის მოპოვება და ჩაწერა, მათ შორის - ოჯახური და სოციალური ანამნეზი, საჭიროების შემთხვევაში პაციენტის თანხმობით პაციენტის ახლობლებისა და ნათესავებისგან ინფორმაციის მიღება.
  - პაციენტის მიერ საკუთარ მდგომარეობასა და მკურნალობის პრინციპებში გარკვევის ხარისხისა და გადაწყვეტილების მიღების უნარის შეფასება;
  - სრული ფიზიკური გასინჯვა.
  - მენტალური სტატუსის შეფასება.
  - ახსნა-განმარტებისა და რჩევის მიცემა პაციენტისა და მისი ახლობლებისათვის, თანადგომა და პაციენტის უფლებების დაცვა.
7. კლინიკური შემთხვევის დიაგნოზი და მართვა
- პაციენტის ანამნეზის, ფიზიკური და მენტალური შეფასების ინტეგრაცია და ინტერპრეტაცია კლინიკური, ფსიქოლოგიური, რელიგიური, სოციალური და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით.
  - პაციენტის მდგომარეობის სიმძიმის შეფასება.
  - დიფერენციალური დიაგნოზის გატარება.
  - გამოკვლევების დაგეგმვა პაციენტთან შეთანხმებით, გამოკვლევების მონაცემთა ინტერპრეტაცია და საბოლოო დიაგნოზის ჩამოყალიბება.
  - გაურკვეველ და ორაზროვან სიტუაციაში კლინიკური მსჯელობისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი კოლეგებთან თანამშრომლობის გამოყენებით.
  - მკურნალობის გეგმის (დაავადების მართვის) შემუშავება პაციენტის ინფორმირებული თანხმობის შესაბამისად. პაციენტის უფლების პატივისცემა მკურნალობის პროცესთან მიმართებაში გადაწყვეტილების მიღებისას.
  - ძალადობის ნიშნების იდენტიფიკაცია და პაციენტისათვის კვალიფიციური სოციალური და იურიდიული დახმარების შეთავაზება.
  - ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტსა და მის ოჯახზე ზრუნვა: პალიატიური მკურნალობის დაგეგმვა და განხორციელება ეფექტური კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის პრინციპების გამოყენებით.
  - ქრონიკული დაავადებების მართვისას ასაკობრივი, სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენის გათვალისწინება პაციენტის მიერ სამკურნალო რეჟიმის დაცვის უზრუნველსაყოფად.
8. გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების მართვა: პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები თანამედროვე ევროპული გაიდლაინების მიხედვით:
- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობა და მისი სიმძიმის შეფასება.
  - გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის დიაგნოზი და მკურნალობა.
  - ბაზისური პირველადი დახმარების აღმოჩენა.
  - ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებებისა და კარდიოპულმონალური რეანიმაციული ღონისძიებების განხორციელება.
  - გაფართოებული სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებების გატარება.
  - ტრავმის გადაუდებელი მკურნალობა.

9. ეფექტური, უსაფრთხო და ხარჯთეფექტური დანიშნულების მიცემა

- მედიკამენტების გასაგებად და ქვეყანაში დადგენილი წესის შესაბამისად გამოწერა.
- წარსულში და ამჟამად მოხმარებული წამლების ანამნეზის შეკრება.
- წამლის სწორად მორგება კლინიკურ კონტექსტზე, წამლის შერჩევა და ფარმაკოთერაპიის გეგმის შედგენა კლინიკური პრობლემის პრიორიტეტების, რისკისა და სარგებლის, მოხერხებულობისა და ფულადი დანახარჯების განსაზღვრით.
- წამლის დოზისა და შეყვანის გზების განსაზღვრა.
- წამალთშორისი ურთიერთქმედებების(მათ შორის - ალტერნატიული მედიცინის სამკურნალწამლო საშუალებებთან) და წამლის გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღება.
- პაციენტისა და მისი ახლობლებისათვის წამლის შესახებ საჭირო ინფორმაციის შესაბამისი სახით მიწოდება.
- წამლის შესახებ რელევანტური სანდო წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვება.
- მკურნალობის მონიტორინგი: თერაპიული და გვერდითი ეფექტების დაფიქსირება და საჭიროების შემთხვევაში მკურნალობის გეგმაში კორექტივების შეტანა.

10. პრაქტიკული პროცედურების უსაფრთხოდ და ეფექტურად ჩატარება

- კუსდამთავრებულს შეუძლია სწორი პრაქტიკის დემონსტრირება პრაქტიკული პროცედურების ზოგად ასპექტებთან მიმართებაში:
- კუსდამთავრებულს შეუძლია შემდეგი დიაგნოსტიკური, სამკურნალო, გადაუდებელი(First Aid, BLS, CPR და ა.შ.) და ჰიგიენური(ასეპტიკა/ანტისეპტიკა) პრაქტიკული პროცედურების შესრულება:

1. არტერიული წნევის გაზომვა (არაინვაზიური) (SP პაციენტზე, დამოუკიდებლად);
2. პერიფერული და ცენტრალური პულსის გაზომვა(SP პაციენტზე, დამოუკიდებლად);
3. სუნთქვის სიხშირის გაზომვა(SP პაციენტზე, დამოუკიდებლად);
4. ტემპერატურის გაზომვა(SP პაციენტზე, დამოუკიდებლად);
5. ტკივილის შესაფასებელი შკალების გაცნობა(SP პაციენტზე, დამოუკიდებლად);
6. ჟანგბადის სატურაციის გაზომვა(SP პაციენტზე/მანეკენზე, დამოუკიდებლად);
7. სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის გაზომვა(SP პაციენტზე/მანეკენზე, დამოუკიდებლად);
8. შარდის ანალიზი “dipstick” მეთოდით, შარდის ნაკადის შუა ულუფის შეგროვების წესი(SP პაციენტზე/მანეკენზე, დამოუკიდებლად);

9. ნუტრიციოლოგიური სტატუსის შეფასება: დიეტის შეფასება, ზოგადი ფიზიკური მდგომარეობის შეფასება, სიმაღლის, წონის, სხეულის მასის ინდექსის გაზომვა (SP პაციენტზე, დამოუკიდებლად);
10. ორსულობის ტესტი(SP პაციენტზე, დამოუკიდებლად);
11. სპირომეტრია: PEF და FEV1 გაზომვა(SP პაციენტზე, დამოუკიდებლად);
12. სიცოცხლის გადარჩენის ბაზისური ალგორითმი(CPR - გულ-ფილტვის რეანიმაცია, AED – ავტომატური გარეგანი დეფიბრილაციაAHA-ამერიკული გულის ასოციაციის მიხედვით, BLS ალგორითმი - DRCABD.(SP პაციენტზე/მანეკენზე, დამოუკიდებლად);
13. მწოლიარე პაციენტის მოვლა - საწოლის თეთრეულის გამოცვლა, პაციენტის დაბანვა, თმის მოვლა, თვალის მოვლა, პირის ღრუს მოვლა, ზურგის მოვლა, შორისის მოვლა( მანეკენზე, დამოუკიდებლად);
14. სტერილური ხელთათმანის, ნიღბის და ხალათის ჩაცმის ტექნიკა(დამოუკიდებლად);
15. კლინიკური ნახმარი მასალისა და ბასრი ნივთების უსაფრთხო მოშორების წესი - განთავსება სპეციალურ კონტეინერებში(დამოუკიდებლად)
16. კანშიდა ინიექცია(მანეკენზე, დამოუკიდებლად);
17. კანქვეშა ინიექცია(მანეკენზე, დამოუკიდებლად);
18. კუნთშიდა ინიექცია(მანეკენზე, დამოუკიდებლად);
19. ინტრავენური ინიექცია(მანეკენზე, დამოუკიდებლად);
20. ვენეპუნქცია (ფლებოტომია) და სისხლის ნიმუშის შეგროვება ღია წესით(მანეკენზე, დამოუკიდებლად);
21. პერიფერული ვენის კათეტერიზაცია (პერიფერული ვენის კათეტერის ჩადგმა/ამოღება)(მანეკენზე, დამოუკიდებლად);
22. ნაზოგასტრული და ოროგასტრული ინტუბაცია(მანეკენზე, დამოუკიდებლად);
23. შარდის ბუშტის კათეტერიზაცია(მანეკენზე, დამოუკიდებლად);
24. ჭრილობის პირველადი დამუშავება(მანეკენზე, დამოუკიდებლად);
25. ჭრილობის შეხვევა(დესმურგია)(მანეკენზე, დამოუკიდებლად);
26. ჭრილობის (კანის და კანქვეშა ქსოვილების) კერვა (ასეპტიკა/ანტისეპტიკის წესები)(მანეკენზე, დამოუკიდებლად);
27. ლოკალური საანესთეზიო ნივთიერებების გამოყენება(ლიტერატურა)(მანეკენზე, დამოუკიდებლად);

28. სისხლისა და კრისტალოიდების ტრანსფუზია პერიფერული ვენის კათეტერის გამოყენებით(მანეკენზე, დამოუკიდებლად);
29. ტრავმის მენეჯმენტი, მოტეხილობის ტიპები, იმობილიზაცია (მანეკენზე, დამოუკიდებლად);
30. შინაგანი და გარეგანი სისხლდენის პრე-ჰოპიტალური მენეჯმენტი(მანეკენზე, დამოუკიდებლად);
31. პაციენტის ტრანსპორტირებისა და საგნებთან მოპყრობის სწორი ტექნიკა უსაფრთხოების მიზნით(ლიტერატურა) (მანეკენზე, დამოუკიდებლად);
32. ენდოტრაქეული ინტუბაცია, ჟანგბადის მიწოდება სხვადასხვა გზით(მანეკენზე, დამოუკიდებლად);
33. პაციენტების სასიცოცხლო ნიშნების მონიტორინგი(კომპიუტერზე/SP პაციენტზე);
34. ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია (საულლე, ლავიწქვეშა)(მანეკენზე, დამოუკიდებლად);
35. პრეპარატის შეყვანის გზები, დოზირების გამოთვლა, განზავებები, წამლის შეყვანა ცენტრალურ და პერიფერიულ ვენურ სისხლის მიმოქცევის სისტემაში(მანეკენზე, დამოუკიდებლად);
36. ინტრავენური ბოლუსი, ჰეპარინის ჩამკეტი (HapLock) (მანეკენზე, დამოუკიდებლად);
37. ეკგ-ს გადაღება და ინტერპრეტაცია (SPპაციენტზე, დამოუკიდებლად)
38. ლუმბალური პუნქცია(მანეკენზე, დამოუკიდებლად);
39. ტრაქეოსტომია(მანეკენზე, დამოუკიდებლად);

11. პაციენტზე მოქმედი ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება

- ინდივიდუალური ნორმალური ქცევის ახსნა ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით.
- ჯანმრთელობის, ავადობისა და დაავადების ფსიქოლოგიური და სოციალური კონცეპციის ახსნა.
- დაავადების მიმდინარეობასა, მკურნალობის შედეგებსა და დაავადებასთან მიმართებაში პაციენტის ქცევის ცვლილებისა და მკურნალობის რეჟიმისადმი დამორჩილების ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების გავლენის ახსნა საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან მიმართებაში.
- ცხოვრებისეულ ცვლილებებთან (მაგ. ახლობლის დაკარგვა) ფსიქოლოგიური ადაპტაციის უნარის შეფასება.
- წამალზე ან ნიკოტინზე დამოკიდებული პაციენტის ფსიქოლოგიური მართვის სტრატეგიის შემუშავება.

12. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პრობლემების მართვასა და ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა

- ქვეყანაში ჯანდაცვის პოლიტიკის განმსაზღვრელი პრინციპების შემუშავებაში მონაწილეობა მათი გაუმჯობესების მიზნით: რესურსებისა და სამედიცინო მომსახურების სამართლიანად განაწილება, ეროვნული გაიდლაინების შემუშავება ეფექტური კლინიკური მკურნალობისა და ზრუნვისათვის.
- პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა - ჯანდაცვის ღონისძიებების ორგანიზება, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს მკურნალობის რისკები.
- სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის პოპულაციაში ეპიდემიოლოგიური მონაცემების მოპოვება, შეფასება და მათი გამოყენება ინდივიდისა და საზოგადოების ჯანდაცვის ორგანიზებაში.
- გადამდები დაავადებების პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებების განხორციელება.
- გარემო ფაქტორებისა და პროფესიონალური(სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული)ფაქტორების როლის შეფასება დაავადების განვითარებაში.
- კვების როლის შეფასება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან მიმართებაში.
- დაავადებათა პირველადი, მეორადი და მესამეული პრევენცია.
- ჯანმრთელობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება - პაციენტის მოტივაცია და მისი ცხოვრების წესისა და ქცევის მოდიფიკაცია.
- გლობალურ დონეზე ჯანმრთელობის დეტერმინანტების განხილვა.

13. სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება

- შეუძლია სამედიცინო მოღვაწეობისათვის აუცილებელი ლეგალური და ეთიკური პრინციპების დემონსტრირება: კონფიდენციალურობის დაცვა, ინფორმირებული თანხმობის მიღება, ეთიკური დილემის გადაწყვეტაში მონაწილეობა, სიკვდილის ცნობის გაცემა, აუტოფსიის მოთხოვნა, ნაციონალური კანონმდებლობისა და პროფესიონალური რეგულაციების გამოყენება კლინიკურ პრაქტიკაში.

14. მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრინციპების გამოყენება სამედიცინო პრაქტიკაში;

- სამედიცინო და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული დიაგნოსტიკური, პროგნოსტიკური და მკურნალობის მეთოდებთან დაკავშირებული კლინიკური

კვლევების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების კრიტიკული შეფასების უნარი

- სპეციფიკური კლინიკური პრობლემის ამოსახსნელად ლიტერატურაში მოპოვებული ინფორმაციის ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოყენება, მისი გაზიარება და განხილვა კოლეგებთან ერთად; პაციენტისა და მისი ახლობლებისათვის გაცნობა.

#### 15. სამედიცინო კვლევაში სამეცნიერო პრინციპების გამოყენება

- სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიის ცოდნის საფუძველზე ბიოსამედიცინო, ფსიქოლოგიურ ან სოციოლოგიურ მეცნიერებებთან მიმართებაში მარტივი რელევანტური კვლევის საკითხის ჩამოყალიბება, კვლევის დიზაინის განსაზღვრა და მისი დაგეგმვა, რეზულტატების ანალიზი და დასკვნის ფორმულირება, მისი გაცნობა დაინტერესებული საზოგადოებისათვის.
- სამედიცინო კვლევასთან მიმართებაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა და მათი გამოყენება.

### III დასკვნის უნარი

#### 16. ანალიზისა და სინთეზის უნარი

- აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი: შეუძლია მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა. მონაცემთა ანალიზის, ფაქტების სტრუქტურირებითა და შემდგომ მათი სინთეზის გზით ერთიანი სურათის აღქმა და ინტერპრეტაცია.
- შეუძლია მონაცემთა ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე საბოლოო დასკვნის გამოტანა და მისი არგუმენტირებული დასაბუთება.

### IV კომუნიკაციის უნარი

#### 17. პაციენტთან და კოლეგებთან ეფექტური კომუნიკაცია სამედიცინო კონტექსტში

- ფლობს როგორც ვერბალურ, ასევე წერიითი და არავერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს.
- შეუძლია როგორც ზეპირი(პაციენტთან, მისი ოჯახის წევრებთან, უნარშეზღუდულ პირებთან, ინფორმირებული თანხმობის მისაღებად, დამხმარე პირის დახმარებით, ცუდი ამბის შეტყობინებისას, კონფლიქტის დროს, კოლეგებთან, სამართალდამცავ ორგანოებთან და მასმედიასთან)პტოფესიონალური ეთიკური პრინციპების დაცვით; ასევე, წერილობითი(სამედიცინო დოკუმენტაციის სწორად წარმოება,) ფორმით ეფექტური კომუნიკაცია; შეუძლია პაციენტსა და მის მკურნალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე დისკუსიაში მონაწილეობა, პრობლემისა და მისი გადაჭრის გზების ჩამოყალიბება, დასკვნის ფორმულირება და წარდგენა; თავისი მოსაზრებების როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე წერილობით გადმოცემა, დაკვირვება, მოსმენა, კითხვის დასმა, ჯგუფის წევრებთან ეფექტური კომუნიკაცია და კონფლიქტური სიტუაციის მართვა.

- შეუძლია ტელეფონით კომუნიკაცია და ელექტრონული კომუნიკაცია.
18. ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება სამედიცინო კონტექსტში
- ზუსტი, იურიდიულად გამართული, სრული ინფორმაციის მომცველი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება.
  - კომპიუტერების გამოყენება დოკუმენტაციის შენახვის, კონფიდენციალურობის დაცვისა და ინფორმაციის მოძიების კონტექსტში.
  - ბეჭდვითი და ელექტრონული ინფორმაციული წყაროების გამოყენება პაციენტისათვის რჩევისა და ინფორმაციის მისაწოდებლად, აგრეთვე, განათლებასა და კვლევაში გამოყენების მიზნით.

#### V სწავლის უნარი:

##### 19. სწავლისა და სხვისი სწავლების უნარი:

- ახალი ცოდნის მუდმივი შექმნა, შეფასება, ინტეგრაცია და პრაქტიკაში გამოყენება, რაც ხელს უწყობს ახალ გამოწვევებთან ადაპტაციას;
- მუდმივი პროფესიული განვითარების სტრატეგიის დაგეგმვა და განხორციელება მთელი ცხოვრების მანძილზე.
- საკუთარი მოღვაწეობის მუდმივი კრიტიკული ანალიზი, შეცდომების გაცნობიერება და მათი ანალიზის საფუძველზე მიდგომების შეცვლა.
- კოლეგების შეფასების შედეგების მიღება, გაანალიზება და შეცდომებისა და მიდგომების გამოსწორება.
- სხვისი სწავლება, კოლეგების პრაქტიკის შეფასებაში მონაწილეობა: კრიტიკული შენიშვნები, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება.

#### VI ღირებულებები:

##### 20. პროფესიონალიზმი (ექიმის ზოგადი ღირებულებანი და პროფესიონალური ქცევა)

- ექიმის ზოგადი ღირებულებანი: პაციენტზე ორიენტირებული სამედიცინო სამსახურის პრინციპების, ექიმის მორალური, სამართლებლივი და ეთიკური პასუხისმგებლობის გაცნობიერება;
- ექიმის მორალური თვისებები: თავაზიანობა, გულისხმიერება, პატიოსნება, კეთილსინდისიერება, ალტრუიზმი და ემპათია; პაციენტის ღირსების, კონფიდენციალურობის, პრივატულობისა და ნების პატივისცემა: მათ შორის რელიგიური და კულტურული ტრადიციების მხედველობაში მიღება მკურნალობის მეთოდებთან მიმართებაში.
- ექიმის, როგორც პროფესიონალის თვისებები, მიდგომა და ქცევა: მიზანსწრაფულობა, ინიციატივა, კრეატიულობა, შეცვლილ გარემოსთან ადაპტირების უნარი, ლიდერობის უნარი, ავტონომიურად მოქმედების უნარი - პრობლემის გადაჭრა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება, მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობის უნარი, დროის მენეჯმენტის უნარი.
- პაციენტზე ორიენტირებული უსაფრთხო და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების პრომოცია.



- პაციენტთა უფლებებისა და მათი თანაბარუფლებიანობის პრინციპების დაცვა მიუხედავად მათი რასობრივი, გენდერული, ეთნიკური, რელიგიური კუთვნილებისა; სექსუალური ორიენტაციის, სოციალური და ეკონომიური მდგომარეობისა.
- კოლეგების პატივისცემა და სუბორდინაციის პრინციპების დაცვა.
- საკუთარი შესაძლებლობების ზღვარის აღქმის უნარი და საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემების გაცნობიერება და მართვა.
- სხვა ექიმის დანიშნულებისა და ქცევის კრიტიკულად შეფასების უნარი.
- ზოგადი განათლება, უცხო ენის ცოდნა და სხვა დარგის სპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი.
- საერთაშორისო კონტექსტში მოქმედების უნარი: თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებისა და სტანდარტების ცოდნა სამედიცინო განათლების, მკურნალობისა და ჯანდაცვის ორგანიზების სფეროებში.

### სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია განაგრძოს სწავლა დოქტორანტურაში ან გაიაროს რეზიდენტურის კურსი კონკრეტულ სპეციალობაში და უნიფიცირებული სახელმწიფო-სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება.

### დასაქმების სფერო

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, “საექიმო საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს უმცროს ექიმად (სერტიფიცირებული ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ), განახორციელოს კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა მედიცინის თეორიულ დარგებში ან ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას. აგრეთვე, იმუშაოს სადაზღვევო კომპანიაში.

ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა – მედიცინა

პროგრამის სახელწოდება:	ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა – მედიცინა
საფეხური	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, გათანაბრებული უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურთან
პროგრამის მოცულობა	ხანგრძლივობაა 6 წელი, 12 სემესტრი
ასათვისებელი კრედიტის მოცულობა (ECTS)	
1 კრედიტი	30 ასტრონომიულ საათი
სემესტრი	30 კრედიტი
წელი	60 კრედიტი
სულ	360 კრედიტი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული მედიკოსი - Medical Doctor
სწავლების ენა	ინგლისური

პროგრამა დაყოფილია სამ ნაწილად

I ნაწილი	საბაზისო, ქვევითი და სოციალური დისციპლინები	2,5 – 3 წელი
II ნაწილი	კლინიკური დისციპლინები	3 – 5 წელი
III ნაწილი	ზოგადი სპეციალიზაცია	6 წელი

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

აკადემიური წინაპირობები:

ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე –“მედიცინა”, შეიძლება ჩაირიცხოს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინგლისურის, ქიმიის/ ბიოლოგიის გამოცდას, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქე ან უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ინგლისური ენის B2 დონის („ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების“) შესაბამისი ცოდნით, რაც დასტურდება საერთაშორისო სერტიფიკატით, ინგლისურ ენაზე მიღებული განათლებით ან თსა-ში ჩაბარებული შესაბამისი გამოცდით; პროფილის მქონე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დამთავრების შემთხვევაში აუცილებელია საბუნებისმეტყველო( ქიმია/ ბიოლოგია/ფიზიკა) პროფილი.

არაკადემიური(ტექნიკური) წინაპირობები:<sup>2</sup> შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების პირები დაიშვებიან პროგრამაზე, თუ მათი პრაქტიკული შესაძლებლობები პროფესიონალურ სფეროში

<sup>2</sup> Recommendations of the AAMC Special Advisory Panel on Technical Standards for Medical School Admissions, approved by the AAMC Executive Council on January 18, 1979

შეზღუდული არ იქნება. პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს უნდა შეეძლოს დემონსტრირებისა და ექსპერიმენტების ობზერვაცია საბაზისო საგნების სწავლების პროცესში, ქსოვილებისა და მიკროორგანიზმების შესწავლა მიკროსკოპში. კანდიდატს უნდა შეეძლოს პაციენტის დეტალური ობზერვაცია როგორც დისტანციურად, ასევე ახლო მანძილიდან. ობზერვაცია მოითხოვს მხედველობის, სმენის, და სომატური მგრძობელობის ფუნქციონალურ გამოყენებას. კანდიდატს უნდა შეეძლოს ეფექტური ზეპირსიტყვიერი, არავერბალური და წერილობითი კომუნიკაცია პაციენტთან და გუნდის წევრებთან, ამისათვის მას სჭირდება მეტყველების, მხედველობისა და სმენის უნარი.

## პროგრამის მიზანი

დიპლომირებული მედიკოსების მომზადება, მათთვის ღრმა კლინიკური აზროვნების განვითარება, სამედიცინო პრაქტიკული საქმიანობისთვის აუცილებელი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მტკიცებულებებზე დაფუძნებული სამედიცინო განათლების მიცემა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის შესახებ ღრმა ცოდნის მიცემა და ამ სისტემაში ექიმის როლის გაცნობიერება, კლინიკური და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გამომუშავება, სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენების, შედეგების პრეზენტაციისა და დისკუსიაში მონაწილეობის უნარ-ჩვევების გამომუშავება, ექიმის პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ეთიკური ღირებულებების და დამოკიდებულებების გამომუშავება.

## პროგრამის ამოცანები

- ადამიანის ორგანიზმის ნორმალური მორფოლოგიის და ორგანოებისა და სისტემების ფუნქციონირების შესახებ ცოდნის მიცემა;
- ადამიანის ორგანიზმში სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობის დროს განვითარებული დარღვევების შესახებ ცოდნის მიცემა;
- მწვავე და ქრონიკული დაავადებების ეტიოლოგიის, პათოგენეზის, კლინიკური მიმდინარეობის, დიაგნოსტიკისა და დიფერენციალური დიაგნოსტიკის შესახებ ცოდნის მიცემა;
- წარმოდგენილ კლინიკურ სიმპტომებსა და ნიშნებში სწორი ორიენტაციისა და ლოგიკური დასკვნის გაკეთების უნარის გამომუშავება;
- სტუდენტისთვის ავადმყოფის გამოკვლევის ოპტიმალური გეგმის შედგენისა და საჭიროების შემთხვევაში ადექვატური მკურნალობის დაწყებისთვის საჭირო ცოდნის მიცემა;
- სამედიცინო საქმიანობისთვის აუცილებელი კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- ეპიდემიოლოგიის, ჯანმრთელობის მართვის საფუძვლების და ჯან. დაცვის კანონმდებლობის შესახებ ცოდნის მიცემა;
- პაციენტის ეფექტური მართვის უნარის გამომუშავება;
- დაავადებათა პრევენციის სწორი მენეჯმენტის უნარის გამომუშავება;
- პაციენტთან, კოლეგებთან, საზოგადოებასთან სწორი ურთიერთობის მიზნით საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გამომუშავება;

- დამოუკიდებლად სწავლისა და სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების გამომუშავება;
- სამედიცინო ჩანაწერების ხარისხიანად წარმოების უნარ-ჩვევის გამომუშავება;
- პროფესიული საქმიანობის პროცესში პაციენტების პრობლემების იდენტიფიცირების, ფორმულირებისა და საკითხის გადაწყვეტის უნარის გამომუშავება კრიტიკული მიდგომითა და კვლევაზე ორიენტირებული დამოკიდებულების დემონსტრირებით;

## სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი -სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება სტუდენტთან ურთიერთობის ისეთი ფორმები, როგორცაა ინტერაქტიული ლექცია Power Point ფორმატში, ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, კითხვა-პასუხი, ინდივიდუალური მუშაობა სტუდენტთან მისთვის საინტერესო საკითხის გარშემო - სტუდენტს ინდივიდუალურად გაეწევა კონსულტაცია, რაც გულისხმობს მისთვის საინტერესო და გაუგებარი საკითხების გარშემო განმარტებების მიცემას, შუალედური გამოკითხვის შედეგების განხილვას, კვლევასთან დაკავშირებული პრობლემის გარშემო ლიტერატურის შერჩევას, მის გაანალიზებაში დახმარებას და სტუდენტური კონფერენციისთვის თუ დებატებისათვის მზადებას.
- წიგნზე მუშაობის მეთოდი - დამოუკიდებლად მიცემული და ახსნილი საკითხავი მასალის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი;
- წერიტი მუშაობის მეთოდი - მთელ რიგ დისციპლინებში სტუდენტები დავალების სახით ასრულებენ სხვადასხვა პროექტებს - წარმოადგენენ Power-Point პრეზენტაციებს მათთვის საინტერესო თემების შესახებ, ადგენენ თეზისებს, წერენ რეფერატებს ან ესეს, წერილობით პასუხს სცემენ ღია კითხვებს.
- პრაქტიკული მეთოდები (კლინიკურ გარემოში სწავლება - bedside teaching)-. კლინიკური უნარების დემონსტრაცია - სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამათუიმ პრაქტიკულ აქტივობას. ამ მეთოდის საშუალებით სტუდენტი იძენს ახალ ცოდნას და პროფესიონალურ მიდგომასა და თვისებებს: კოლეგიალობა, გუნდში მუშაობა, თანადგომა. პრაქტიკული უნარჩვევების დემონსტრაცია - ავადმყოფის გასინჯვა, მონაცემების რეგისტრაცია, გამოკვლევის მეთოდების დანიშვნა, გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაცია, დიაგნოზის განსაზღვრა, შესაბამისი სამკურნალო გეგმის შემუშავება; პრაქტიკული უნარ-ჩვევების დემონსტრირება(პერკუსია,პალპაცია, აუსკულ-ტაცია, ფორმულირება და მონაცემების რეგისტრაცია დ ასხვ) ინსტრუმენტული გამოკვლევის შედეგების ანალიზი(დასკვნის ინტერპრეტაცია და დაზიანების ტიპისა და ხარისხის განსაზღვრა, ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების ანალიზი(ანალიზების საფუძველზე დაზიანების ტიპისა და ხარისხის განსაზღვრა.
- დემონსტრირების მეთოდი - ეს მეთოდი ინფორმაციისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. ამ მეთოდის გამოყენება ხდება კლინიკური უნარჩვევის სწავლებისას კლინიკური უნარ-ჩვევებისა და სტრუქტურურებული გამოცდების ცენტრში პრაქტიკული პროცედურების სწავლებისას, აგრეთვე, პაციენტის ფიზიკალური გასინჯვის სწავლებისას სტანდარტულ პაციენტზე; დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიერ.
- როლური თამაში - ეს მეთოდი გულისხმობს სტუდენტების მიერ პაციენტისა და ექიმის როლის შესრულებას და პრაქტიკული/კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და

დემონსტრაციას. ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება სწავლების ბაზისურ ეტაპზე კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისებისას, აგრეთვე, OSCE ფორმატიში ჩატარებული გამოცდების მსვლელობისას SP პაციენტზე.

- ანალიზი და სინთეზი - კლინიკური შემთხვევის განხილვა - ფიზიკური, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგების ანალიზი და სინთეზი, დიფერენციალური დიაგნოზი, დიაგნოზის განსაზღვრა, შესაბამისი მკურნალობის გეგმის შემუშავება.
- დისკუსია/დებატები - კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ამასთან, უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს, ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება ჯგუფში მუშაობისას ინტერაქტიულ სემინარებზე. ამას გარდა, თსა-ში პერიოდულად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო დებატები კონკრეტულ თემაზე, სადაც სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან მოწვეული სტუდენტები თსა სტუდენტებთან ერთად არგუმენტირებულად იცავენ თავის თვალსაზრისს საკითხის მეცნიერული ცოდნისა და ეთიკურ-მორალური პრინციპებიდან გამომდინარე.
- შემთხვევის ანალიზი (Case study) - სწავლების ადრეულ ეტაპზე გამოიყენება პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების (POL)მეთოდი, კერძოდ, კლინიკური შემთხვევის განხილვა, სინდრომის ანალიზი და დიფერენციალური დიაგნოზის ელემენტები. ლექტორი სტუდენტებს წარუდგენს კონკრეტულ შემთხვევებს, სტუდენტები ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს და შემდეგ ხდება აღნიშნული შემთხვევის სრული ანალიზი, რომელსაც წარმართავენ სტუდენტები ლექტორის ზედამხედველობით. პრიმიტიულ დონეზე კლინიკური შემთხვევის, კლინიკური კორელაციებისა და სიტუაციური ამოცანების განხილვა ხდება ყველა ბაზისური დისციპლინის შესწავლის პროცესში.
- სიტუაციური ამოცანების განხილვა სწავლების კლინიკურ ეტაპზე ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების დემონსტრაციას: დიაგნოზის განსაზღვრასა და მკურნალობის მეთოდის შერჩევას. კლინიკურ დისციპლინებში მეცადინეობების დროს კლინიკური შემთხვევების გარჩევა მოხდება სიტუაციური ამოცანების განხილვის გზით, როლური თამაშების (პაციენტი-ექიმი) საშუალებით, ასევე, კლინიკურ გარემოში, უშუალოდ პაციენტის საწოლთან.
- ლაბორატორიული სწავლება - ლაბორატორიული სამუშაოს შესრულება ჩართულია საბაზისო ბიოსამედიცინო დისციპლინების შესწავლის პროცესში, როგორც სავალდებულო კომპონენტი, აგრეთვე, სამეცნიერო კვლევებში მონაწილე სტუდენტები უფრო ღრმად შეისწავლიან კონკრეტულ ლაბორატორიულ სამუშაოს.
- სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა - თსა-ში სტუდენტები ადრეული სემესტრიდან არიან ჩართული სამეცნიერო და კლინიკურ კვლევაში. სწავლების ადრეულ ეტაპიდან ისწავლება სამეცნიერო კვლევის ძირითადი საფუძვლები, ინფორმაციის კრიტიკული შეფასება, მტკიცებულებზე დაფუძნებული ინფორმაციის მოპოვება, კვლევის დიზაინი, ორგანიზება, ანალიზი და შედეგების წარდგენა. რეფერატული თუ კვლევაზე დაფუძნებული ნაშრომების პრეზენტაციას სტუდენტები მოაწყოებენ როგორც უშუალოდ სწავლების პროცესში, ასევე ყოველწლიურ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებზე. ასეთი ტიპის აქტივობა ქმნის მოტივაციას და საფუძველს სამეცნიერო კვლევაში სტუდენტის შემდგომი ჩართულობისათვის.

- დამამთავრებელი წლის პირველის სემესტრის დასაწყისში სტუდენტები აირჩევენ თსა-ს მიერ შეთავაზებული კვლევებიდან ერთ-ერთს, რომელსაც განახორციელებენ ხელმძღვანელის რეკომენდაციების საფუძველზე და მისი უშუალო ხელმძღვანელობით. სემესტრის ბოლოს მოახდენენ შესრულებული ნაშრომის პრეზენტაციას, მონაწილეობას მიიღებენ დისკუსიაში. ეს მათ უვითარებს არამარტო აუდოტორიასთან პროფესიონალურ კომუნიკაციის, არამედ საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
- ანალიზი - ამ მეთოდის გამოყენებით სტუდენტებთან ერთად განიხილება კონკრეტული შემთხვევები. სტუდენტები საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხის მანამდე უცნობ მხარეებს. ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, რაც ამარტივებს დასმული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალურ გამოუქებას.
- სინთეზის მეთოდი - გულისხმობს ცალკეული საკითხების თავმოყრით მთლიანის შესახებ წარმოდგენის შექმნას. იგი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც „მთელი“-ს დანახვის უნარის განვითარებას.
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
- აუდიო-ვიზუალური მეთოდი - მეცადინეობებზე გამოყენებული იქნება პოსტერები, ატლასები, კომპიუტერული პროგრამები, სხვადასხვა ფიზიოლოგიური და პათოლოგიური მექანიზმების ანიმაციები, ქირურგიული ოპერაციებისა და სამედიცინო მანიპულაციების ვიდეო ვერსიები, აგრეთვე, ვირტუალური ლაბორატორია, (რომელიც გამოიყენება ანატომიისა და იმუნოლოგიის კურსების სწავლებაში), ლექცია/პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები, სლაიდები, პრეზენტაციები, ხდება დაფის გამოყენება ლექტორისა და სტუდენტების მიერ.
- ექიმის ასისტირება - ექიმის დახმარება ავადმყოფის მკურნალობის პროცესში, მანიპულაციების ჩატარების დროს.

## სასწავლო გეგმა

### პირველი წელი

I სემესტრი		
N	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	ადამიანის ანატომია I	7
2	ზოგადი ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია	7
3	გენეტიკა	4
4	უცხო ენა	3
5	ბიოქიმია I	7
6	შესავალი კლინიკურ მედიცინაში I	2
		30

II სემესტრი		
N	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	ადამიანის ანატომია II	6
2	კერძო ჰისტოლოგია I	2
3	ფიზიოლოგია I	6
3	შესავალი კლინიკურ მედიცინაში II	2
4	ბიოქიმია II	6
5	შესავალი სამედიცინო კვლევაში	3
6	ბიოეთიკა	2
7	იმუნოლოგია	3
		30

### მეორე წელი

III სემესტრი		
#	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	ადამიანის ანატომია III	4
2	კერძო ჰისტოლოგია II	2
3	ფიზიოლოგია II	6
4	ბიოქიმია III	4
5	მიკრობიოლოგია I	6
6	კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	3
7	ჯანმრთელობის სოც. და ეკოლოგიური ასპექტები	3
8	შესავალი კლინიკურ მედიცინაში III	2
		30
IV სემესტრი		
#	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	ადამიანის ანატომია IV	2.5
2	კერძო ჰისტოლოგია III	2
3	ფიზიოლოგია III	5
4	მიკრობიოლოგია II	5
5	ქცევის ფიზიოლოგია	3
	ზოგადი პათოლოგია	6.5

6		
7	ფარმაკოლოგია I	5
8	შესავალი კლინიკურ მედიცინაში IV	1
		30

### მესამე წელი

V სემესტრი		
#	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	შინ/სნეულებათა დიაგნოსტიკა I პრობლემაზე ორიენტირებული სწავლებით	6.5
2	კერძო პათოლოგია I	6.5
3	ფარმაკოლოგია II	6
4	ქცევამეცნიერება	4
5	სამედიცინო ფსიქოლოგია	3.5
6	კლინიკური უნარ-ჩვევები I	3.5
		30
VI სემესტრი		
#	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	შინ/სნეულებათა დიაგნოსტიკა II პრობლემაზე ორიენტირებული სწავლებით	6.5
2	კერძო პათოლოგია II	6.5
3	ფარმაკოლოგია III	6
4	ნუტრიციოლოგიის საფუძვლები	2
5	ზოგადი ქირურგია	5
6	რადიოლოგია	4
		30

### მეოთხე წელი

VII სემესტრი		
#	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	შინაგან სნეულებები I	9
2	ოტორინოლარინგოლოგია	3
3	ტრავმატოლოგია	4



4	ნევროლოგია	7
5	კლინიკური უნარ-ჩვევები II	3
6	ბიოსტატისტიკა	2
7	არჩევითი: 1. ცნობიერის ფსიქოლოგია 2. ფიზიოთერაპია	2
		30
<b>VIII სემესტრი</b>		
#	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	ქირურგია I	6
2	ინფექციური სნეულებანი	6
3	კლინიკური პარაზიტოლოგია	2
4	მეანობა	7
5	ოფთალმოლოგია	2
6	ენდოკრინოლოგია	5
7	არჩევითი: 1. ეკგ კურსი 2. ნეიროქირურგია	2
		30

### მეხუთე წელი

<b>IX სემესტრი</b>		
#	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	შინაგანი სნეულებები II	9
2	გინეკოლოგია	6
3	დერმატოვენეროლოგია	4
4	ეპიდემიოლოგია	3
5	პედიატრია I	6
6	არჩევითი: 1. კლინიკური იმუნოლოგია 2. ტუბერკულოზი	2
		30
<b>X სემესტრი</b>		
#	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	ქირურგია II	6

2	ფსიქიატრია	5
3	ონკოლოგია და პალიატიური მოვლა	3
4	პედიატრია II	5
5	კლინიკური ფარმაკოლოგია	4
6	დაავადებათა პრევენცია და ჯანმრთელობის ხელშეწყობა	3
7	გერიატრია	2
	არჩევითი:	
8	1. პროფესიული პათოლოგია 2. ბავშვთა ქირურგია	2
		30

### მექვესე წელი

XI სემესტრი		
#	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	შინაგანი სნეულებათა დიფერენციალური დიაგნოსტიკა I	7
2	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	3
3	სასამართლო მედიცინა	4
4	საოჯახო მედიცინა	3
5	კლინიკური ჰემატოლოგია	3
6	სამედიცინო რეაბილიტაცია	3
7	სამეცნიერო კვლევითი აქტივობა	3
8	უროლოგია	2
9	არჩევითი: 1. პლასტიკური ქირურგია 2. კლინიკური ნუტრიციოლოგია	2
		30
XII სემესტრი		
#	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	შინაგანი სნეულებათა დიფერენციალური დიაგნოსტიკა II	7
2	კლინიკური ტოქსიკოლოგია და გადაუდებელი მედიცინა	4
3	კრიტიკული მედიცინა და ანესთეზიოლოგია	4

4	ქირურგია III	5
5	მეანობა-გინეკოლოგია	4.5
6	კლინიკური ეთიკა და საექიმო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები	3.5
	არჩევითი: 3. სისხლძარღვთა ქირურგია	
7	4. ბავშვთა ორთოპედიული ქირურგია	2
		30

თსა სთავაზობს სტუდენტს არჩევით სასწავლო კურსებს. სტუდენტი, სემესტრის ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, უფლებამოსილია შეზღუდვის გარეშე აირჩიოს შეთავაზებულიდან ერთერთი, მისთვის სასურველი არჩევითი სასწავლო კურსი შემდეგ სემესტრში გასავლელად.

### სტუდენტის შეფასების სისტემა

სტუდენტს ECTS კრედიტი ენიჭება სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. ცოდნის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.

- 60 ქულას სტუდენტი აგროვებს სემესტრის განმავლობაში, სასწავლო კურსის შესწავლის პროცესში, დასწრების, აქტივობის, კოლოქვიუმის, ზეპირი ან წერილი გამოკითხვის, რეფერატის მომზადების, პრეზენტაციის, კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავების ან სხვა კომპონენტების საფუძველზე. კომპონენტების რაოდენობა და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება სასწავლო კურსის ხელმძღვანელის მიერ და აისახება სილაბუსში.
- 40 ქულა გათვალისწინებულია დასკვნითი გამოცდისთვის.
  - სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 31 ქულა.
  - დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი მიიღებს მინიმუმ 20 ქულას.

სტუდენტს კრედიტი მიენიჭება ქულების 51-დან 100-მდე დაგროვების შემთხვევაში.

ქულების 41-დან 50-მდე დაგროვების შემთხვევაში სტუდენტი განმეორებით გადის გამოცდაზე სასწავლო კურსის განმეორებით გასვლის გარეშე.

40 და ნაკლები ქულის დაგროვების შემთხვევაში სტუდენტმა სასწავლო კურსი განმეორებით უნდა გაიაროს.

შეფასების სისტემაში ქულების განაწილების სქემა

ქულა	შეფასება
91-100 (A)	ფრიადი
81-90 (B)	ძალიან კარგი
71-80 (C)	კარგი
61-70 (D)	დამაკმაყოფილებელი
51-60 (E)	საკმარისი
41-50 (FX)	ვერ ჩააბარა; სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება
0-40 (F)	ჩაიჭრა; სტუდენტმა კრედიტის მისაღებად განმეორებით უნდა გაიაროს სასწავლო კურსი

პროგრამის სწავლის შედეგები

I ცოდნა და გაცნობიერება

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს:

21. ბიოსამედიცინო და საბაზისო დისციპლინების (ბიოქიმია, მოლეკულური ბიოლოგია, ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია, ანატომია, გენეტიკა, იმუნოლოგია, მიკრობიოლოგია, ნუტრიციოლოგიის საფუძვლები, ფიზიოლოგია, პათოლოგია და ფარმაკოლოგია) და მათთან დაკავშირებული სამეცნიერო პრინციპებისა და მეთოდების ღრმა და სისტემური ცოდნა. კურსდამთავრებულმა იცის:

- ადამიანის ორგანიზმის ნორმალური განვითარება, ნორმალური მოლეკულური, მიკრო და მაკროსტრუქტურა და ფუნქცია, მეტაბოლიზმი და კვებითი მოთხოვნილება და გარემო ფაქტორების ზეგავლენა ჯანმრთელობაზე.
- ადამიანის გენომისა და იმუნური სისტემის ნორმალური სტრუქტურა და ფუნქცია
- დაავადების მექანიზმი(პათოფიზიოლოგია) და პათოლოგიური სტრუქტურა(პათომორფოლოგია), მათ შორის -ინფექციის, გენეტიკური და იმუნური სისტემის დაავადებების მექანიზმები.
- წამლების კლასიფიკაცია, ძირითადი ჯგუფების ფარმაკოდინამიკა და ფარმაკოკინეტიკა, ცალკეული სამკურნალწამლო საშუალებანი, მათი დანიშვნის პრინციპები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, თერაპიული და გვერდითი ეფექტები, ტოქსიურობა, წამალთშორისი ურთიერთქმედებები, ხანგრძლივი დანიშნულებების ეფექტები, მოსახლეობაში ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის გავრცელების პრობლემა; სისხლისა და სისხლის პროდუქტების ტრანსფუზიის პრინციპები.

22. ქვევითი და სოციალური მეცნიერებების (სამედიცინო ფსიქოლოგია, ქვევის ფსიქოფიზიოლოგია, შესავალი სამედიცინო კვლევაში, ჯანმრთელობის ეკოლოგიური და სოციალური ასპექტები, ეპიდემიოლოგიური კვლევა და ბიოსტატისტიკა, პრევენციული მედიცინა), მათთან დაკავშირებული სამეცნიერო პრინციპებისა და მეთოდების სისტემური ცოდნა.
23. კლინიკური მეცნიერებების შესახებ კლინიკური როტაციების პერიოდში მიღებული გამოცდილებით გამყარებული თეორიული ცოდნა შემდეგ სფეროებში:
- მწვავე დაავადების მკურნალობა გადაუდებელი მედიცინის განყოფილებაში
  - თერაპიული პაციენტის მკურნალობა მიმღებ განყოფილებასა და ზოგად თერაპიულ განყოფილებაში
  - ქირურგიული პაციენტის მკურნალობა მიმღებ განყოფილებასა და ზოგად ქირურგიულ განყოფილებაში
  - მკურნალობა პირველადი ჯანდაცვის რგოლში
  - ხანდაზმულთა მკურნალობა
  - ბავშვების მკურნალობა
  - პალიატიური მკურნალობა
  - ფსიქიატრიული პაციენტის მკურნალობა
  - გინეკოლოგიური პაციენტის მკურნალობა და ფიზიოლოგიური მშობიარობის მართვა
  - კრიტიკული მდგომარეობის მკურნალობა და ანესთეზიოლოგია
  - რეაბილიტაციური მედიცინა
  - სხვადასხვა პროფილის დაავადებების მკურნალობა
  - სხვადასხვა პროფილის ქირურგიული დაავადებების მკურნალობა ცოდნა
24. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემისა და ექიმის როლის შესახებ ჯანდაცვის სისტემაში:
- კურსდამთავრებული ღრმად ერკვევა დაავადებათა პრევენციის პრინციპებსა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის სოციალურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებში.
  - აქვს წარმოდგენა გლობალურად და ქვეყნის შიგნით რესურსების არათანასწორ გადანაწილებაზე.
  - იცის სამედიცინო სფეროსთან დაკავშირებული კანონები და რეგულაციები.
25. სამედიცინო პრაქტიკაში არსებული ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა: პაციენტებისა და უნარშეზღუდულ პირთა უფლებები, ექიმის მოვალეობები და უფლებები, კოლეგებთან ურთიერთობის ლეგალური ასპექტები

## II ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

### 26. პაციენტისათვის კონსულტაციის გაწევა

- ავადმყოფობის ისტორიის მოპოვება და ჩაწერა, მათ შორის - ოჯახური და სოციალური ანამნეზი, საჭიროების შემთხვევაში პაციენტის თანხმობით პაციენტის ახლობლებისა და ნათესავებისგან ინფორმაციის მიღება.
- პაციენტის მიერ საკუთარ მდგომარეობასა და მკურნალობის პრინციპებში გარკვევის ხარისხისა და გადაწყვეტილების მიღების უნარის შეფასება;
- სრული ფიზიკური გასინჯვა.
- მენტალური სტატუსის შეფასება.
- ახსნა-განმარტებისა და რჩევის მიცემა პაციენტისა და მისი ახლობლებისათვის, თანადგომა და პაციენტის უფლებების დაცვა.

### 27. კლინიკური შემთხვევის დიაგნოზი და მართვა

- პაციენტის ანამნეზის, ფიზიკური და მენტალური შეფასების ინტეგრაცია და ინტერპრეტაცია კლინიკური, ფსიქოლოგიური, რელიგიური, სოციალური და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით.
- პაციენტის მდგომარეობის სიმძიმის შეფასება.
- დიფერენციალური დიაგნოზის გატარება.
- გამოკვლევების დაგეგმვა პაციენტთან შეთანხმებით, გამოკვლევების მონაცემთა ინტერპრეტაცია და საბოლოო დიაგნოზის ჩამოყალიბება.
- გაურკვეველ და ორაზროვან სიტუაციაში კლინიკური მსჯელობისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი კოლეგებთან თანამშრომლობის გამოყენებით.
- მკურნალობის გეგმის (დაავადების მართვის) შემუშავება პაციენტის ინფორმირებული თანხმობის შესაბამისად. პაციენტის უფლების პატივისცემა მკურნალობის პროცესთან მიმართებაში გადაწყვეტილების მიღებისას.
- ძალადობის ნიშნების იდენტიფიკაცია და პაციენტისათვის კვალიფიციური სოციალური და იურიდიული დახმარების შეთავაზება.
- ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტსა და მის ოჯახზე ზრუნვა: პალიატიური მკურნალობის დაგეგმვა და განხორციელება ეფექტური კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის პრინციპების გამოყენებით.
- ქრონიკული დაავადებების მართვისას ასაკობრივი, სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენის გათვალისწინება პაციენტის მიერ სამკურნალო რეჟიმის დაცვის უზრუნველსაყოფად.

### 28. გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების მართვა: პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები თანამედროვე ევროპული გაიდლაინების მიხედვით:

- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობა და მისი სიმძიმის შეფასება.
- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის დიაგნოზი და მკურნალობა.
- ბაზისური პირველადი დახმარების აღმოჩენა.

- ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებებისა და კარდიოპულმონალური რეანიმაციული ღონისძიებების განხორციელება.
- გაფართოებული სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებების გატარება.
- ტრავმის გადაუდებელი მკურნალობა.

29. ეფექტური, უსაფრთხო და ხარჯთეფექტური დანიშნულების მიცემა

- მედიკამენტების გასაგებად და ქვეყანაში დადგენილი წესის შესაბამისად გამოწერა.
- წარსულში და ამჟამად მოხმარებული წამლების ანამნეზის შეკრება.
- წამლის სწორად მორგება კლინიკურ კონტექსტზე, წამლის შერჩევა და ფარმაკოთერაპიის გეგმის შედგენა კლინიკური პრობლემის პრიორიტეტების, რისკისა და სარგებლის, მოხერხებულობისა და ფულადი დანახარჯების განსაზღვრით.
- წამლის დოზისა და შეყვანის გზების განსაზღვრა.
- წამალთმორისი ურთიერთქმედებების(მათ შორის - ალტერნატიული მედიცინის სამკურნალო საშუალებებთან) და წამლის გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღება.
- პაციენტისა და მისი ახლობლებისათვის წამლის შესახებ საჭირო ინფორმაციის შესაბამისი სახით მიწოდება.
- წამლის შესახებ რელევანტური სანდო წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვება.
- მკურნალობის მონიტორინგი: თერაპიული და გვერდითი ეფექტების დაფიქსირება და საჭიროების შემთხვევაში მკურნალობის გეგმაში კორექტივების შეტანა.

30. პრაქტიკული პროცედურების უსაფრთხოდ და ეფექტურად ჩატარება

- კუსდამთავრებულს შეუძლია სწორი პრაქტიკის დემონსტრირება პრაქტიკული პროცედურების ზოგად ასპექტებთან მიმართებაში:
- კუსდამთავრებულს შეუძლია შემდეგი დიაგნოსტიკური, სამკურნალო, გადაუდებელი(First Aid, BLS, CPR და ა.შ.) და ჰიგიენური(ასეპტიკა/ანტისეპტიკა) პრაქტიკული პროცედურების შესრულება:

40. არტერიული წნევის გაზომვა (არაინვაზიური) (SP პაციენტზე, დამოუკიდებლად);
41. პერიფერული და ცენტრალური პულსის გაზომვა (SP პაციენტზე, დამოუკიდებლად);
42. სუნთქვის სიხშირის გაზომვა (SP პაციენტზე, დამოუკიდებლად);
43. ტემპერატურის გაზომვა (SP პაციენტზე, დამოუკიდებლად);
44. ტკივილის შესაფასებელი შკალების გაცნობა (SP პაციენტზე, დამოუკიდებლად);
45. ჟანგბადის სატურაციის გაზომვა (SP პაციენტზე/მანეკენზე, დამოუკიდებლად);
46. სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის გაზომვა (SP პაციენტზე/მანეკენზე, დამოუკიდებლად);

47. შარდის ანალიზი “dipstick” მეთოდით, შარდის ნაკადის შუა ულუფის შეგროვების წესი (SP პაციენტზე/მანეკენზე, დამოუკიდებლად);
48. ნუტრიციოლოგიური სტატუსის შეფასება: დიეტის შეფასება, ზოგადი ფიზიკური მდგომარეობის შეფასება, სიმაღლის, წონის, სხეულის მასის ინდექსის გაზომვა (SP პაციენტზე, დამოუკიდებლად);
49. ორსულობის ტესტი (SP პაციენტზე, დამოუკიდებლად);
50. სპირომეტრია: PEF და FEV1 გაზომვა (SP პაციენტზე, დამოუკიდებლად);
51. სიცოცხლის გადარჩენის ბაზისური ალგორითმი (CPR - გულ-ფილტვის რეანიმაცია, AED – ავტომატური გარეგანი დეფიბრილაცია AHA-ამერიკული გულის ასოციაციის მიხედვით, BLS ალგორითმი - DRCABD (SP პაციენტზე/მანეკენზე, დამოუკიდებლად);
52. მწოლიარე პაციენტის მოვლა - საწოლის თეთრეულის გამოცვლა, პაციენტის დაბანვა, თმის მოვლა, თვალის მოვლა, პირის ღრუს მოვლა, ზურგის მოვლა, შორისის მოვლა (მანეკენზე, დამოუკიდებლად);
53. სტერილური ხელთათმანის, ნიღბის და ხალათის ჩაცმის ტექნიკა(დამოუკიდებლად);
54. კლინიკური ნახმარი მასალისა და ბასრი ნივთების უსაფრთხო მოშორების წესი - განთავსება სპეციალურ კონტეინერებში(დამოუკიდებლად)
55. კანშიდა ინიექცია (მანეკენზე, დამოუკიდებლად);
56. კანქვეშა ინიექცია (მანეკენზე, დამოუკიდებლად);
57. კუნთშიდა ინიექცია (მანეკენზე, დამოუკიდებლად);
58. ინტრავენური ინიექცია (მანეკენზე, დამოუკიდებლად);
59. ვენეპუნქცია (ფლებოტომია) და სისხლის ნიმუშის შეგროვება ღია წესით(მანეკენზე, დამოუკიდებლად);
60. პერიფერული ვენის კათეტერიზაცია (პერიფერული ვენის კათეტერის ჩადგმა/ამოღება) (მანეკენზე, დამოუკიდებლად);
61. ნაზოგასტრული და ოროგასტრული ინტუბაცია (მანეკენზე, დამოუკიდებლად);
62. შარდის ბუშტის კათეტერიზაცია (მანეკენზე, დამოუკიდებლად);
63. ჭრილობის პირველადი დამუშავება (მანეკენზე, დამოუკიდებლად);
64. ჭრილობის შეხვევა(დესმურგია) (მანეკენზე, დამოუკიდებლად);
65. ჭრილობის (კანის და კანქვეშა ქსოვილების) კერვა (ასეპტიკა/ანტისეპტიკის წესები) (მანეკენზე, დამოუკიდებლად);



66. ლოკალური საანესთეზიო ნივთიერებების გამოყენება(ლიტერატურა) (მანეკენზე, დამოუკიდებლად);
67. სისხლისა და კრისტალოიდების ტრანსფუზია პერიფერული ვენის კათეტერის გამოყენებით (მანეკენზე, დამოუკიდებლად);
68. ტრავმის მენეჯმენტი, მოტეხილობის ტიპები, იმობილიზაცია (მანეკენზე, დამოუკიდებლად);
69. შინაგანი და გარეგანი სისხლდენის პრე-ჰოპიტალური მენეჯმენტი (მანეკენზე, დამოუკიდებლად);
70. პაციენტის ტრანსპორტირებისა და საგნებთან მოპყრობის სწორი ტექნიკა უსაფრთხოების მიზნით(ლიტერატურა)(მანეკენზე, დამოუკიდებლად);
71. ენდოტრაქეული ინტუბაცია, ჟანგბადის მიწოდება სხვადასხვა გზით (მანეკენზე, დამოუკიდებლად);
72. პაციენტების სასიცოცხლო ნიშნების მონიტორინგი (კომპიუტერზე/SP პაციენტზე);
73. ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია (საუღლე, ლავიწქვეშა) (მანეკენზე, დამოუკიდებლად);
74. პრეპარატის შეყვანის გზები, დოზირების გამოთვლა, განზავებები, წამლის შეყვანა ცენტრალურ და პერიფერიულ ვენურ სისხლის მიმოქცევის სისტემაში (მანეკენზე, დამოუკიდებლად);
75. ინტრავენური ბოლუსი, ჰეპარინის ჩამკეტი (HapLock) (მანეკენზე, დამოუკიდებლად);
76. ეკგ-ს გადაღება და ინტერპრეტაცია (SPპაციენტზე, დამოუკიდებლად)
77. ლუმბალური პუნქცია (მანეკენზე, დამოუკიდებლად);
78. ტრაქეოსტომია (მანეკენზე, დამოუკიდებლად);

31. პაციენტზე მოქმედი ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება

- ინდივიდუალური ნორმალური ქცევის ახსნა ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით.
- ჯანმრთელობის, ავადობისა და დაავადების ფსიქოლოგიური და სოციალური კონცეპციის ახსნა.
- დაავადების მიმდინარეობასა, მკურნალობის შედეგებსა და დაავადებასთან მიმართებაში პაციენტის ქცევის ცვლილებისა და მკურნალობის რეჟიმისადმი დამორჩილების ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების გავლენის ახსნა საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან მიმართებაში.

- ცხოვრებისეულ ცვლილებებთან (მაგ. ახლობლის დაკარგვა) ფსიქოლოგიური ადაპტაციის უნარის შეფასება.
- წამალზე ან ნიკოტინზე დამოკიდებული პაციენტის ფსიქოლოგიური მართვის სტრატეგიის შემუშავება.

32. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პრობლემების მართვასა და ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა

- ქვეყანაში ჯანდაცვის პოლიტიკის განმსაზღვრელი პრინციპების შემუშავებაში მონაწილეობა მათი გაუმჯობესების მიზნით: რესურსებისა და სამედიცინო მომსახურების სამართლიანად განაწილება, ეროვნული გაიდლაინების შემუშავება ეფექტური კლინიკური მკურნალობისა და ზრუნვისათვის.
- პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა - ჯანდაცვის ღონისძიებების ორგანიზება, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს მკურნალობის რისკები.
- სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის პოპულაციაში ეპიდემიოლოგიური მონაცემების მოპოვება, შეფასება და მათი გამოყენება ინდივიდისა და საზოგადოების ჯანდაცვის ორგანიზებაში.
- გადამდები დაავადებების პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებების განხორციელება.
- გარემო ფაქტორებისა და პროფესიონალური(სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული)ფაქტორების როლის შეფასება დაავადების განვითარებაში.
- კვების როლის შეფასება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან მიმართებაში.
- დაავადებათა პირველადი, მეორადი და მესამეული პრევენცია.
- ჯანმრთელობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება - პაციენტის მოტივაცია და მისი ცხოვრების წესისა და ქცევის მოდიფიკაცია.
- გლობალურ დონეზე ჯანმრთელობის დეტერმინანტების განხილვა.

33. სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება

- შეუძლია სამედიცინო მოღვაწეობისათვის აუცილებელი ლეგალური და ეთიკური პრინციპების დემონსტრირება: კონფიდენციალურობის დაცვა, ინფორმირებული თანხმობის მიღება, ეთიკური დილემის გადაწყვეტაში მონაწილეობა, სიკვდილის ცნობის გაცემა, აუტოფსიის მოთხოვნა, ნაციონალური კანონმდებლობისა და პროფესიონალური რეგულაციების გამოყენება კლინიკურ პრაქტიკაში.

34. მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრინციპების გამოყენება სამედიცინო პრაქტიკაში;

- სამედიცინო და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული დიაგნოსტური, პროგნოსტიკური და მკურნალობის მეთოდებთან დაკავშირებული კლინიკური კვლევების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების კრიტიკული შეფასების უნარი
- სპეციფიკური კლინიკური პრობლემის ამოსახსნელად ლიტერატურაში მოპოვებული ინფორმაციის ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოყენება, მისი გაზიარება და განხილვა კოლეგებთან ერთად; პაციენტისა და მისი ახლობლებისათვის გაცნობა.

### 35. სამედიცინო კვლევაში სამეცნიერო პრინციპების გამოყენება

- სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიის ცოდნის საფუძველზე ბიოსამედიცინო, ფსიქოლოგიურ ან სოციოლოგიურ მეცნიერებებთან მიმართებაში მარტივი რელევანტური კვლევის საკითხის ჩამოყალიბება, კვლევის დიზაინის განსაზღვრა და მისი დაგეგმვა, რეზულტატების ანალიზი და დასკვნის ფორმულირება, მისი გაცნობა და ინტერესებული საზოგადოებისათვის.
- სამედიცინო კვლევასთან მიმართებაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა და მათი გამოყენება.

## III დასკვნის უნარი

### 36. ანალიზისა და სინთეზის უნარი

- აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი: შეუძლია მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა. მონაცემთა ანალიზის, ფაქტების სტრუქტურირებითა და შემდგომ მათი სინთეზის გზით ერთიანი სურათის აღქმა და ინტერპრეტაცია.
- შეუძლია მონაცემთა ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე საბოლოო დასკვნის გამოტანა და მისი არგუმენტირებული დასაბუთება.

## IV კომუნიკაციის უნარი

### 37. პაციენტთან და კოლეგებთან ეფექტური კომუნიკაცია სამედიცინო კონტექსტში

- ფლობს როგორც ვერბალურ, ასევე წერიითი და არავერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს.
- შეუძლია როგორც ზეპირი(პაციენტთან, მისი ოჯახის წევრებთან, უნარშეზღუდულ პირებთან, ინფორმირებული თანხმობის მისაღებად, დამხმარე პირის დახმარებით, ცუდი ამბის შეტყობინებისას, კონფლიქტის დროს, კოლეგებთან, სამართალდამცავ ორგანოებთან და მასმედიასთან)პტოფესიონალური ეთიკური პრინციპების დაცვით; ასევე, წერილობითი(სამედიცინო დოკუმენტაციის სწორად წარმოება,) ფორმით ეფექტური კომუნიკაცია; შეუძლია პაციენტსა და მის მკურნალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე დისკუსიაში მონაწილეობა, პრობლემისა და მისი გადაჭრის გზების ჩამოყალიბება, დასკვნის ფორმულირება და წარდგენა; თავისი მოსაზრებების როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე წერილობით გადმოცემა,

დაკვირვება, მოსმენა, კითხვის დასმა, ჯგუფის წევრებთან ეფექტური კომუნიკაცია და კონფლიქტური სიტუაციის მართვა.

- შეუძლია ტელეფონით კომუნიკაცია და ელექტრონული კომუნიკაცია.

38. ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება სამედიცინო კონტექსტში

- ზუსტი, იურიდიულად გამართული, სრული ინფორმაციის მომცველი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება.
- კომპიუტერების გამოყენება დოკუმენტაციის შენახვის, კონფიდენციალურობის დაცვისა და ინფორმაციის მოძიების კონტექსტში.
- ბეჭდვითი და ელექტრონული ინფორმაციული წყაროების გამოყენება პაციენტისათვის რჩევისა და ინფორმაციის მისაწოდებლად, აგრეთვე, განათლებასა და კვლევაში გამოყენების მიზნით.

## V სწავლის უნარი:

39. სწავლისა და სხვისი სწავლების უნარი:

- ახალი ცოდნის მუდმივი შექმნა, შეფასება, ინტეგრაცია და პრაქტიკაში გამოყენება, რაც ხელს უწყობს ახალ გამოწვევებთან ადაპტაციას;
- მუდმივი პროფესიული განვითარების სტრატეგიის დაგეგმვა და განხორციელება მთელი ცხოვრების მანძილზე.
- საკუთარი მოღვაწეობის მუდმივი კრიტიკული ანალიზი, შეცდომების გაცნობიერება და მათი ანალიზის საფუძველზე მიდგომების შეცვლა.
- კოლეგების შეფასების შედეგების მიღება, გაანალიზება და შეცდომებისა და მიდგომების გამოსწორება.
- სხვისი სწავლება, კოლეგების პრაქტიკის შეფასებაში მონაწილეობა: კრიტიკული შენიშვნები, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება.

## VI ღირებულებები:

40. პროფესიონალიზმი(ექიმის ზოგადი ღირებულებანი და პროფესიონალური ქცევა)

- ექიმის ზოგადი ღირებულებანი: პაციენტზე ორიენტირებული სამედიცინო სამსახურის პრინციპების, ექიმის მორალური, სამართლებლივი და ეთიკური პასუხისმგებლობის გაცნობიერება;
- ექიმის მორალური თვისებები: თავაზიანობა, გულისხმიერება, პატიოსნება, კეთილსინდისიერება, ალტრუიზმი და ემპათია; პაციენტის ღირსების, კონფიდენციალურობის, პრივატულობისა და ნების პატივისცემა: მათ შორის რელიგიური და კულტურული ტრადიციების მხედველობაში მიღება მკურნალობის მეთოდებთან მიმართებაში.
- ექიმის, როგორც პროფესიონალის თვისებები, მიდგომა და ქცევა: მიზანსწრაფულობა, ინიციატივა, კრეატიულობა, შეცვლილ გარემოსთან ადაპტირების უნარი, ლიდერობის უნარი, ავტონომიურად მოქმედების უნარი - პრობლემის გადაჭრა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება, მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობის უნარი, დროის მენეჯმენტის უნარი.

- პაციენტზე ორიენტირებული უსაფრთხო და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების პრომოცია.
- პაციენტთა უფლებებისა და მათი თანაბარუფლებიანობის პრინციპების დაცვა მიუხედავად მათი რასობრივი, გენდერული, ეთნიკური, რელიგიური კუთვნილებისა; სექსუალური ორიენტაციის, სოციალური და ეკონომიური მდგომარეობისა.
- კოლეგების პატივისცემა და სუბორდინაციის პრინციპების დაცვა.
- საკუთარი შესაძლებლობების ზღვარის აღქმის უნარი და საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემების გაცნობიერება და მართვა.
- სხვა ექიმის დანიშნულებისა და ქვევის კრიტიკულად შეფასების უნარი.
- ზოგადი განათლება, უცხო ენის ცოდნა და სხვა დარგის სპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი.
- საერთაშორისო კონტექსტში მოქმედების უნარი: თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებისა და სტანდარტების ცოდნა სამედიცინო განათლების, მკურნალობისა და ჯანდაცვის ორგანიზების სფეროებში.

### სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს მაგისტრატურასა ან დოქტორანტურაში, ან გაიაროს რეზიდენტურის კურსი კონკრეტულ სპეციალობაში და უნიფიცირებული სახელმწიფო-სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება.

### დასაქმების სფერო

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, “საექიმო საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს უმცროს ექიმად (სერტიფიცირებული ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ), განახორციელოს კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა მედიცინის თეორიულ დარგებში ან ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას, აგრეთვე იმუშაოს სადაზღვევო კომპანიაში.